„გახარია-საქართველოსათვის“ ძმებ თალაკვაძეებს ზეწოლაში ადანაშაულებს, ავთანდილ თალაკვაძე კი ამ განცხადებას აბსურდს და ტყუილს უწოდებს

ალიონი. „გახარია საქართველოსათვის“ ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისში 30 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე ოზურგეთის მერობის კანდიდატმა **გია ცეცხლაძემ** და დეპუტატობის კანდიდატმა **პეტრე სალუქვაძემ** განაცხადეს ,რომ მერობის კანდიდატმა პარტია „ქართული ოცნებიდან“ ავთანდილ თალაკვაძემ და მისმა ძმამ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ ზეწოლა გამახორციელეს დაბა ნასაკირალში პარტია „გახარია-საქართველოსათვის“მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ **ნონა ტუნაძეზე** და ამ უკანასკნელს კანდიდატურა მოახსნევინეს.

გია ცეცხლაძე: *„ძმებმა თალაკვაძეებმა ზეწოლა განახორციელეს ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატ ნონა ტუნაძეზე, რომელმაც არჩევნებიდან მოხსნა თავისი კანდიდატურა. ასეთ ფაქტებს ყურადღება უნდა მიაქციონ შესაბამისმა ორგანოებმა, რათა არჩევნები ჩატარდეს სუფთა გარემოში და ზეწოლები და დაშინებები, რაც ჩვენ 2012 წელში უნდა დაგვემთ-ავრებინა, უნდა დასრულდეს“.*

პეტრე სალუქვაძე: *„ჩვენ ნონა ტუნაძისგან მივიღეთ თანხმობა, რომ იგი დაბა ნასაკირალში კენჭს იყრიდა მაჟორიტარად ჩვენი პარტიიდან. მან წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები და 24 აგვისტოს შეავსო შესაბამისი ფორმა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ნონა ტუნაძეზე მოხდა ზეწოლა, რაც ჩვენთვის მესამე პირის საშუალებით გახდა ცნობილი. ჩვენი ინფორმაციით, ნონა ტუნაძის მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა ვაჭრობის საგანი. ჩვენ ნონა ტუნაძეს სხვა კანდიდატით ჩავანაცვლებთ.“*

კითხვაზე – კონკრეტულად ვინ იმყოფებოდა დაბა ნასაკირალში „ქართული ოცნებიდან,“ პეტრე სალუქვაძემ უპასუხა: *„გვაქვს ინფორმაცია, რომ დაბა ნასაკირალში არჩილ და ავთანდილ თალაკვაძეები და გურიის გუბერნატორი გიორგი ურუშაძე იმყოფებოდნენ“.*

იმავე დღეს გამართულ საპასუხო ბრიფინგზე ავთანდილ თალაკვაძემ გია ცეცხლაძის განცხადებას აბსურდი და ტყუილი უწოდა:

ავთანდილ თალაკვაძე: –*„აბსურდი და ტყუილია, რომ ზეწოლას ვახდენთ ვინმეზე. სიმართლე არის ის, რომ გია ცეცხლაძის წინასაარჩევნო კამპანია წარუმატებელია, დღემდე ოზურგეთში არ იციან, რა არის მისი საარჩევნო პროგრამა, – როგორც ჩანს შტაბი ეშლებათ და ჩვენზე ცდილობენ ამის გადმობრალებას. თავიდანვე საზოგადოება შეცდომაში შეჰყავდა და ხმებს ავრცელებდნენ, რომ თითქოს „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით მოქმედებს. დღეს, როცა ბევრმა გაიგო სიმართლე, გასაკვირი არ არის, რომ უარს ეუბნებიან მხარდაჭერაზე. გახარიას პარტია ოზურგეთში მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხმებს და მომხრეებს ეპოტინება."*

ტუნაძის სააღრიცხვო ბარათზე მითითებული ტელეფონის ნომრის (599 39937) აკრეფით მაშინვე შევეცადეთ გაგვეგო, რატომ მოხსნა ქალბატონმა ნონამ თავისი კანდიდატურა, მაგრამ ნომერი ქსელიდან დროებით გამორთული იყო (?!), შემდეგ დღეებში კი აბონენტმა ჩვენს ზარებს არ უპასუხა და ტელეფონი გაგვითიშა.

„ტვ პირველის“ მიერ მოპოვებული და საჯარო სივრცეში გავრცელებული აუდიოჩანაწერით ირკვევა, რომ თალაკვაძეები იმ დღეს ნამდვილად შეხვდნენ ნონა ტუნაძეს და მას სკოლაში დასაქმებასა და მეუღლის გამოჯამრთელებაში დახმარებას შეპირდნენ. თუმცა, არსად ისმის, რომ ამას კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ გააკეთებდნენ.

ნონა ტუნაძე, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც იყრიდა კენჭს, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დაბა ნასაკირალში „ქართული ოცნებიდან“. მაშინ იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ბესო ქათამაძესთან დამარცხდა. სხვათა შორის, საზოგადოების ერთი ნაწილი მაშინაც საუბრობდა ქალბატონ ნონა ტუნაძეზე ზეწოლის შესახებ.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 29 (10399) 6 სექტემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

რა მოხდა მერობის კანდიდატ შარაშენიძესა და მთისპირის მაჟორიტარს შორის

სიახლეებისა და მედიის ვებსაიტმა „**GURIA TIMES**“ 2 ოქტომბერს გამოაქვეყნა ინფორმაცია ოზურგეთის მერის **კონსტანტინე შარაშენიძის** მიერ საკრებულოს მოქმედი დეპუტატის მიმართ ძალადობისა და მუქარის შესახებ.

„ოზურგეთის მოქმედი მერის კონსტანტინე შარაშენიძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. საქმე სავარაუდოდ ძალადობის და მუქარის ფაქტს ეხება, რომელიც მერის მხრიდან „ქართული ოცნების“ წევრის და საკრებულოს მოქმედი დეპუტატის მიმართ განხორციელდა.

კონსტანტინე შარაშენიძე დასახელებულ პირთან შეხვედრას არ უარყოფს. სავარაუდოდ შეხვედრას, რომლის დროსაც მერს ძალადობაში ადანაშაულებენ, სხვა პირებიც ესწრებოდნენ. სავამოძიებო უწყებაში მისვლა მოქმედ მერს უახლოეს საათებში მოუწევს.“– წერდა აღნიშნული გამოცემა.

როგორც შემდეგ კულუარულად გავიგეთ, სიტყვიერი დაპირისპირება ოზურგეთის მოქმედი მერის საცხოვრებელ სახლში (ქ. ოზურგეთი, კეჭაყმაძის ქ.) მოხდა, სადაც 2012 წელს პარტია „ქართული ოცნების“ შტაბი იყო

▶▶▶ გვ-2

სოფელი

რა ხდება სოფელ ვაკიჯვარში

ალიონი. სოფელი და კურორტი ვაკიჯვარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 400 მეტრზე, მდინარე ნატანების ლამაზ ხეობაში მდებარეობს. თავვაკიჯვარიდან საცალფეხო გზა, ქორბუდეს გავლით კურორტ ბახმაროში მიდის.

საქართველოში აღიარებულ საბავშვო კურორტს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა გასული საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე 50-იანი წლები. ზაფხულობით აქ, მოსწავლეთა ბანაკებსა და საბავშვო ბაგა-ბაღებში ასეულობით ბავშვი უფასოდ ისვენებდა. შემდეგ ვაკიჯვარმა თანდათან დაკარგა საკურორტო მნიშვნელობა და იგი ბახმარომ ჩაანაცვლა.

სოფლის ტერიტორიაზე ადამიანები ბრინჯაოს ხანიდან ცხოვრობდნენ. ამას მოწმობს ბრინჯაოს ნივთები და ზოდები, ასევე ანტიკური ხანის კერამიკა და კრამიტის ნამტვრევები.

2000 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა ვაკიჯვრის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია. ამჟამად ამ ეკლესიაში **მამა ზაქარია (ინწკირველი)** მოღვაწეობს.

სოფელში ტაძარი მე-10 საუკუნეშიც აუგიათ, 1828 წლისათვის აქ იდგა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია...

ვაკიჯვრის თემში შედის მდინარე ბახვის წყალსა და ნატანებს შორის განფენილი სოფელი ფამფალეთი. ლეგენდის თანახმად, ეს სახელი სოფელს დაერქვა გოგაურას მთის ძირში მიწის ეროზიის (ფამფალის) გამო.

გასულ ოთხშაბათს ამ ლამაზ სოფლებს ვესტუმრეთ და გავეცანით თუ რა გაკეთდა აქ ბოლო წლებში. ამაზე ოზურგეთის მერის წარმომადგენელი სოფელ ვაკიჯვარში **გიორგი მდინარაძე** გვესაუბრა.

–*ბოლო წლებში ვაკიჯვარ-ფამფალეთში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათგან პირველ რიგში დავასახელებდი ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ ვაკიჯვარი-ფამფალეთი-ბახვი-ქვედა ბახვი-ბაღდადი წყალმომარაგების 7-მილიონიან პროექტს. პროექტი დასრულებულია. მოხდა დასახელებული სოფლების დაქსელვა, აიგო სამი 300, 400 და 600-ტონიანი რეზერვუარი, საიდანაც 400 ტონიანი უკვე მუშა მდგომარეობაშია. წყალი გაშვებულია ქსელში. ჯერჯერობით სოფელ ბაღდადის მოსახლე-*

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

რა მოხდა მერობის კანდიდატ შარაშენიძესა და მთისპირის მაჟორიტარს შორის

განთავსებული, 2017 წელს კი –დამოუკიდებელი მერობის კანდიდატის კონსტანტინე შარაშენიძისა. იგივე ფუნქცია აქვს ამ სახლს ამჟამადაც. მეორე მხარე კი სოფელ მთისპირის მაჟორიტარი დეპუტატი **ვლადიმერ ჩავლეიშვილი** *იყო. ჩვენი ინფორმაციით,მათ საუბარს,რომელიც შემდეგ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ესწრებოდნენ ოზურგეთის მერის წარმომადგენლის თანაშემწე* **რომან ვანაძე**, *რომელიც ამჟამად „ქართული ოცნების“ მთისპირის შტაბს ხელმძღვანელობს და ა(ა)იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ წარმომადგენელი* **დავით ქურიძე.**

აღნიშნული დაპირისპირების შესახებ ტვ „იმედმაც“ გადასცა სიუჟეტი.

„არანირ ძალადობას და მუქარას ადგილი არ ჰქონია, იმყოფებოდა ჩემთან და ვუთხარი, რომ დადის და იმახის, რაც მთისპირში გაკეთდა ყველაფერი არჩილ თალაკვაძემ გააკეთა,არჩილ თალაკვაძის გამოგზავნილი ფულებით კეთდებაო... ერთხელ არ დამდგომია მხარში, როცა სხვადასხვა სტრუქტურებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, რათა რაც შეიძლება მეტი პროექტი წამოსულიყო ოზურგეთში. იცოდა საერთოდ რა კეთდებოდა? ლადო ჩავლეშვილს ვურჩიე, რომ სიცრუისგან თავი შეეკავებია და მოსახლეობისათვის მიეცა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, შეეწყვიტა ზეწოლები, – *განაცხადა მედიასთან მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა.*

პარასკევს, დღის განმავლობაში რამდენჯერმე დავურეკეთ სოფელ მთისპირის მაჟორიტარ დეპუტატს ვლადიმერ ჩავლეშვილს და ოზურგეთის მერის წარმომადგენლის თანაშემწეს სოფელ მთისპირში რომან ვანაძეს, რომლებმაც „ალიონის“ ზარებს არ უპასუხეს.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით ფიზიკური დაპირისპირება შარაშენიძესა და ჩავლეშვილს შორის მართლაც არ მომხდარა. იყო სიტყვიერი დაპირისპირება, რომლის დასრულების შემდეგ შარაშენიძემ ჩავლეშვილს ბოდიშიც მოუხადა.

ოზურგეთში გიორგი გახარიას პირველი ათეული ცნობილია

პარტია „საქართველოსათვის“ ოზურგეთში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიული სიის პირველი ათეული ცნობილია.

სიის პირველი ნომერი 2006-2010 წლებში ოზურგეთის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი, ოზურგეთის რაიონული პროკურატორის ყოფილი პროკურორი **პეტრე სალუქვაძე** *იქნება, ხოლო მეორე ნომერი ქ. ოზურგეთის მერის ყოფილი პირველი მოადგილე* **ალეკო ბურჭულაძე.** *შემდეგ მოდიან: 3) სოფიკო ქარცივაძე; 4) ირაკლი ჩხაიძე; 5) კახა გაგუა; 6) მაკა ჩხაიძე; 7) რევაზ კოპალეიშვილი; 8) ნინო ღლონტი; 9) რუსუდან მემარნიშვილი; 10) შოთა კოჩალიძე.*

ლეიბორისტების სიის პირველი ნომერი დავით მამალაძე იქნება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოსახვედრად ოზურგეთელმა ლეიბორისტებმა შემდეგი კანდიდატები წარადგინეს: სიის სათავეში საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ოზურგეთის საკრებულოს ამჟამინდელი დეპუტატი **დავით მამალაძე** *იქნება.*

შემდეგ მოდიან:2. კაკო თავდუმაძე;3. მზიური ჭკადუა; 4. ზაზა თავაძე; 5. გოჩა ქუტიძე; .6. სოფიო. ხომერიკი; 7. გელა ლესელიძე;8. გელა ანთაძე ;9. შორენა მახარაძე; 10. თამაზი შარაშიძე.

„პატრიოტთა ალიანს“ ოზურგეთში მერობის კანდიდატი არ ეყოლება

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, **მირზა ჩხიკვიშვილის** *ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიას მერობის კანდიდატი არ ეყოლება.*

მირზა ჩხიკვიშვილის თქმით, ამ ეტაპზე „პატრიოტთა ალიანსი“ იბრძოლებს, რომ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეიყვანონ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

მათი საარჩევნო სია კი ასე გამოიყურება: მირზა ჩხიკვიშვილი, ირინა აბულაძე, მაია მახარაძე, გიორგი ჩხაიძე, მადონა სურგულაძე, რომან ვაშაყმაძე, ფატმანი ბაბილოძე, იზა ქარცივაძე, აკაკი მექვაბიშვილი, თეა ბაბილოძე.

2-3 სექტემბრის უხვმა ნალექმა მოსახლეობას ზიანი მიაყენა

ალიონი. 2-3 სექტემბრს მოსული უხვი ნალექის შედეგად ადიდდნენ მდინარეები, გააქტიურდა მეწყერული პროცესები, დაზიანდა სანიაღვრე არხები, დაიტბორა შიდა სასოფლო გზები.

ოზურგეთში სტიქიამ პრობლემები რამდენიმე სოფელში შექმნა, მათ შორის, მერიის ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მცირე მდინარეები ადიდდა, დააზიანა სანიაღვრე არხები და შიდა საუბნო გზები.

გასულ პარასკევ-შაბათს მერიისა და ხვარბეთის ტერიტორიებზე მძიმე ტექნიკა მუშაობდა.

მდინარეების ადიდების, მოსული ნიაღვარის შედეგად სოფელ მაკვანეთში, ლიხაურში, შემოქმედში, ცხემლისხიდში დაიტბორა სათხილეები. დაბა ურეკში დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები და სასტუმროები.

პარასკევ დილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ მთისპირში მაია ჩავლეშვილს ვესაუბრეთ

–*ახლახან დავბრუნდი სოფლის ცენტრში, დილიდანვე მოვიარე სოფლის ყველა უბანი. ვნახე ვანისქედი, უკანავა. მოსახლეობიდან არ შემოსულა ინფორმაცია რაიმე სახის ზარალის შესახებ. რამდენიმე დღის წინ მუნიციპალური ტექნიკით ვანისქედი-უკანავას გზის ერთ-ერთ რთულ მონაკვეთზე 400 მეტრი გვერდული არხი გავიყვანეთ. იგი წყლის ნაკადს კარგად ატარებს. ბევრგან დავაგეთ ბეტონის გზა, მაგრამ ზოგან, გრუნტის გზებზე ღვარცოფისგან იგი დაიღარა.* –*გვითხრა* **მაია ჩავლეიშვილმა.**

მოგვციანებით ცნობილი გახდა, რომ წყლის მიწოდება შეუწყდა მთისპირი, მზიანი, ასკანის მოსახლეობას

–ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისპირის ტერიტორიაზე მდინარე „ოჩხამურას“ ადიდების გამო, წყალმიღები დატბორილია, რის გამოც წყლის მიწოდება შეუწყდა მთისპირი, მზიანი, ასკანის მოსახლეობას.

.გასულ პარასკევს წყალმომარაგების კომპანია შპს „სატისი“-ის ტექნ-იკური ჯგუფი მუშაობდა მისასვლელი გზების გაწმენდაზე. როგორც კი შესაძლებელი გახდება წყალმიმღებთან მისვლა, შეფასდება არსებული სიტუაცია და ჩატარდება აღდგენითი სამუშაოები–გვაცნობეს კომპანია „სატისში.“

შეკვეთილში ზღვაში ახალგაზრდა გარდაიცვალა

გავრცელებული ინფორმაციით, შეკვეთილში, ახალგაზრდა კაცს სკუტერის ზღვიდან ამოყვანისას დენმა დაარტყა და გარდაიცვალა.

საინფორმაციო სააგენტო I. ინფორმაციითრ, მას სკუტერი სხვა პირებთან ერთად წყლიდან სპეციალური ელექტრომოწყობილობით ამოჰყავდა.

ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა.

„ამ ტერიტორიაზე სულ ხდება ქურდობა და წიაღის უკანონოდ მოპოვება“

–„მდინარე ნატანებზე, სოფელ მერიისკენ მიმდინარეობს უკანონო მოპოვება ბალასტის. ეს არის ზღვიდან 20 კილომეტრიანი ზონა , სადაც მოპოვება დაუშვებელია. ღორღი შედის იქვე ქვა-ღორღის გადამამუშავებელ საწარმო „გობრონში“. ვეცდები გამოვიძახო გარემოს დაცვის დეპარტამენტი. ეს ექსკავატორი უნდა დაილუქოს. მე ადგილზე ვერ ვიმყოფები, მასალა და ინფორმაცია ადგილობრივებმა მომაწოდეს.

ამ ტერიტორიაზე სულ ხდება ქურდობა და წიაღის უკანონოდ მოპოვება.

საინტერესოა გარემოსდაცვის დეპარტამენტი რას მოიმოქმედებს?“–წერს გარემოსდამცველი **ირმა გორდელაძე** საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

როგორ ცხოვრობენ ეკომიგრანტები მთაში

ალიონი. გაზეთ „ალიონის“ ორშაბათის ნომერში ვრცელი სტატია დაიბეჭდა დაბა ნასაკირალის და მისი მცხოვრებლების შესახებ. ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ დროს მთაშია, მათ ბახმაროში, პატარა ფაფარას დასახლებაში ვესტუმრეთ.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ხის საგარაკო „ღოჯიანი“ სახლები პატარა მუზეუმს მოგაგონებთ, სადაც სისუფთავესთან ერთად თვალს მოგჭრით დიასახლისების მიერ შესრულებული ნაქარგობანი, მთისთვის დამახასიათებელი სპილენძის და ხის ნაკეთობანი. რა თქმა უნდა, მასპინძელი აუცილებლად მოგართმევთ მთის საფირმო კერძს „ბორანოს“, რომელსაც დაწნული, გამხმარი ყველისაგან „მემთევრი“ ქალები ერბო-კარაქში ხარშავენ. მომზადებისას იაღსაც იყენებენ და შემდეგ ყავისფრად მობრაწული „ბორანო“-ღრმა ჯამით გამოაქვთ მაგიდაზე. ამჯერად ჩვენი მასპინძელი ნასაკირალელი **ოთარ ირემაძის** ოჯახი იყო.

„მემთევრები“ აქ მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში ამოდიან და სექტემბრის ბოლომდე აქ არიან. ადრე გზაფხულზე კარტოფილს თესავენ და სექტემბრის შუა რიცხვებში იღებენ. მოჰყავთ ნიორი, სხვა ბოსტნეული კულტურები. მთავარი მაინც რძის პროდუქტებია. საზამთროდ იმარაგებენ კარაქს, იაღს, სულგუნს, დაწნულ და ჩვეულებრივ ყველს, ყურუთს.

დღისით სახლში უფრო მეტად დიასახლისები არიან. მამაკაცები სამუშაოდ მიდიან, ზოგი შეშას ამზადებს, ზოგი საქონელს მწყემსავს.

– მთა მიყვარს. ყოველწლიურად აქ ვატარებთ 4-5 თვეს. მთის გარეშე ბარი როგორ იქნება. ახლა რომ უყურებთ, ფაფარას დასახლებიდან 100 ტონაზე მეტი კარტოფილს ჩავიტანთ სექტემბრის ბოლოს ბარში. ნაწილ კარტოფილს ვყიდით... მთის ბარაქა ბარს აძლიერებს. დრო მეტ-ნაკლებად ყველა კარგია, არც ახლაა ცუდი დრო, მთავარია შრომა არ გეზარებოდეს – გვითხრა 83 წლის **გივი გორგაძემ.**

–კარაქი, იაღი, ყველი, ყურუთი, ნადუღი თითქმის მთელი ზამთრის სამყოფს ვაგროვებთ. ორ კვირაში კარტოფილსაც ამოვიღებთ, ამ ხანში მთაში ზამთარიც მოახლოვდება, მეთოვლიე ყვავილებით დაიფარება მინდვრები და ბარში დავეშვებით –*გვითხრა 62 წლის **ჯემალ ირემაძემ.***

მამაკაცები ამჯერად მათი სალოცავის – ჯამეს გაფართოების სამუშაოებით იყვნენ დაკავებულები.

– მორწმუნე მრევლი მატულობს, არ ეტეოდნენ არსებულ ჯამეში და ვაფართოებთ. ერთი ჯამე ბახმაროს შემოსასვლელში - ნამანევში გვაქვს –*გვითხრა იმამმა **ახმედ მგელაძემ.***

ჩვენ ვწერდით დაბა ნასაკირალის მეჩეთის შესახებ, რომლის გაფართოება-კეთილმოწყობის სამუშაოები 5 წლის წინ დაიწყო და დღეს იგი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეჩეთია დასავლეთ საქართველოში.

*–ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მეჩეთის მშენებლობაში. ადგილობრივი შემოწირულობების გარდა ექიმი **მიშა ართმელაძე** დაგვიდგა გვერდით. მას ორი კერძო კლინიკა აქვს ბათუმში და წარმატებული ბიზნესმენია. ასევე შეიძლება ვთქვათ **გოჩა ირემაძის** და **ოთარ ანთაძის** მიმართ. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია დაგვეხმარა. განათების მოწყობა ვთხოვეთ მეჩეთის ერთ-ერთ შემოსასვლელში და გაგვიკეთეს. ბაილეთი-ნასაკირალის გზა რომ დაიგო, მეჩეთის მთავარ შემოსასვლელამდე მოიყვანეს ასფალტი. რწმენა ადამიანს აძლიერებს,* –გვითხრა იმამმა **ახმედ მგელაძემ.**

ახმედმა განათლება სტამბულში, კარადენიზის უნივერსიტეტში მიიღო.

–15-მდე ქართველი ვსწავლობდით ამ უნივერსიტეტში. აქ შევისწავლე წინამძღოლობა – გვითხრა მან.

ისე მოხდა, რომ ბახმაროს შემოსასვლელში ბათუმელ ჰაფიზებს **ქემალ** და **ჯემალ ვანაძეებს** შევხდით. საინტერსო იყო მათთან საუბარი.

ჰაფიზებს იმ მორწმუნეს უძახიან, ვინც ყურანი ზეპირად იცის. ეს ტრადიცია დიდ როლს თამაშობს ისლამური მემკვიდრეობის შენარჩუნებაში.

ყურანის აიათები და ჰასიდები მაჰმადის სიცოცხლისას სპეციალურად ისწავლებოდა და ზეპირად გადადიოდა თაობიდან თაობამდე. ისლამური მემკვიდრეობის მცველები ჰაფიზები იყვნენ. წერილობითთან ერთად, ეხლაც საკმაოდ ძლიერია ჰაფიზების ტრადიცია.

კიდევ ერთ ჰაფიზს, **ზვიად ვანაძეს** ამ დღეს ვერ შევხდით. ზვიადი იმიტომ ვახსენე, რომ წარმოშობით ნასაკირალელია, მისი მამა **ლექსო ვანაძე** ცნობილი აკორდეონისტია და წლების განმავლობაში მუშაობდა ოზურგეთის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ცნობილ ანსამბლში, ცნობილ ქორეოგრაფ **ვახტანგ მეგრელაძესთან.**

გულიანად მიგვიღეს და გვიმასპინძლეს. მომავალი შეხვედრის სურვილით დავემშვიდობეთ მათ.

სოფელი

რა ხდება სოფელ ვაკიჯვარში

ობას არ მიეწოდება წყალი;

მეორე დიდი პროექტი ვაკიჯვარ-ფამფალეთის გაზიფიცირების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები იყო, რომელიც 1,2 მილიონი ლარი დაჯდა და სახელმწიფოსაგან ქსელი უკვე ჩაიბარა კომპანია „სოკარმა.“ ორი სოფლის 510 კომლი დღე-დღეზე ბუნებრივი აირის ჩართვას ელოდება.

მესამე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია მაღალსიჩქარიანი კაბელური ინტერნეტის შემოყვანა სოფელში, რაც მშენებარე კომპანია „დაგ დელევოპერმა“ (ხელმძღვანელი ლევან ნოზაძე) განახორციელა. პროვაიდერი კომპანია კი „იარნეტია“ –გვითხრა გიორგი მდინარაძემ.

ძალიან მნიშვნელოვანია ცხემლისხიდი-უჩხუბი-ვაკიჯვრის დამაკავშირებელი 108 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა, რომლის ასაგებად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 1, 2 მილიონი ლარი გამოჰყო. 6 მეტრი სიგანის ხიდის მშენებლობა უკვე დაიწყო.

მერის წარმომადგენელსა და უფროს სპეციალისტ **დავით ჩავლეშვილთან** ერთად მოვინახულეთ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით და ადგილობრივი მერიის მიერ დაფინანსებული პროექტები.

–სოფლის პროგრამა ვაკიჯვრის თემზე 64 ათას ლარს ითვალისწინებს. შარშან ვაკიჯვრის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები სამუშაოები ჩავატარეთ, ლამაზი ღობით დამშვენდა სოფლის ამბულატორიის ეზო.სოფლის ცენტრში აიგო თანამედროვე მგზავრთა მოსაცდელი, ფამფალეთში 700 მეტრზე შემოიღობა სასაფლაო. მანამდე სასაფლაოსთან მისასვლელი აღმართზე 325 მეტრზე რკინა-ბეტონის გზაა დაგებული. აქაც თანამედროვე მგზავრთა მოსაცდელი გაკეთდა. სოფლის ცენტრში მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთის მოედანი...

წელს სოფელ ვაკიჯვარში სოფელში ჩამომავალი სარწყავი არხის სათავე ნაგებობა გაიწმინდა 400 მეტრზე და მოეწყო გაბიონები. შეკეთდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი; სოფელ ფამფალეთში კი, ექსპერტების დასკვნის საფუძველზე, დაიშალა ყოფილი კოლმეურნეობისა და კლუბის ამორტიზებული შენობა და ახლა მიმდინარეობს ეზოს შემოღობვის სამუშაოები. აქ ვფიქრობთ საზოგადოებრივი ცენტრის შენობის აგებას, სკვერის მოწყობას და საჭიდაო დარბაზის გახსნას, –გვიხსნის მერის წარმომადგენელი.

როგორც გვითხრეს სოფელს მერია ეხმარება ტექნიკით, საუბნო გზების ღორღით მოსაწესრიგებლად და წყალსადენი არხების გასაწმენდად.

მერია სამშენებლო მასალებით დაეხმარა სოციალიურად დაუცველ 10 ოჯახს. მათ მიუტანეს თუნუქის სახურავი და საჭირო ხის მასალა. დახმარებულთა შორის არიან **იზოლდა, ოთარ ინწკირველები.**

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ფინანსდება ოპერაციები და საჭირო მედიკამენტები. 2020-2021 წლებში ოპერაციების თანადაფინანსება მიიღო 58 ადამიანმა.

– რთული ოპერაცია მქონდა გასაკეთებელი, თანაც შაქრიანი დიაბეტი მაქვს. დამეხმარა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი., – გვითხრა 62 წლის **ელგუჯა მდინარაძემ.**

ცხემლისხიდი-ბაღდადი ვაკიჯვრის გზაგასაყარზე, სოფელ ფამფალეთის შესასვლელში აქაურ ბიზნესმენ **ომარ ვასაძეს** სამლოცველო ნიშა გაუკეთებია.

რადგან რელიგიაზე ჩამოვარდა სიტყვა, სოფელ ფამფალეთის ცენტრში დგას გაბრიელ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია, რომლის წინამძღოლი მამა **შალვაა (გორგაძე)**. ამ სოფელში ცხოვრობს ასევე ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი, **მეუფე საბა (ინწკირველი)**.

გიორგი მდინარაძე ამბობს, რომ ფამფალეთში, მთის ფერდობზე, სადაც ადრე ჩაის კულტურა იყო გაშენებული, 19 ჰექტარზე ბიზნესმენი **მ. მდინარაძე** ჟოლოს კულტურის გაშენებას აპირებს. ეს ხელს შეუწყობს სოფელში დასაქმებას. სოფელ ვაკიჯვრის მაჟორიტარი, **ბაჩანა ნიჟარაძე** მოვიკითხეთ.

– საავადმყოფოშია, კოვიდი აქვს. ვაკიჯვრის ეკლესიის მრევლის წევრებს აღმოაჩნდათ. საბედნიეროდ რთული შემთხვევები არ გვაქვს, – გვითხრეს მათ.

და ბოლოს, სოფლის „აქილევსის ქუსლი“ მდინარე ნატანებზე სამი ჰესის მშენებლობის პროექტია, რომელსაც ჰყავს მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკო“, ვაკიჯვრელებთან ერთად, აპროტესტებს „უნივერსალ ენერჯი კორპორეიშენის“ მიერ მშენებლობას და აქვეყნებს „ნატანები 3 ჰესის“ პროექტის გზშ დოკუმენტის ხარვეზებს და ნაკლოვანებებს. „ნატანები 3 ჰესი,“ ასევე „ნატანები 11“ და „ნატანები 2“, გურიის დაგეგმარებით ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ექცევა. ეს საკითხიც შეუსწავლელია.

მოსაცდელი სოფ. ფამფალეთი

ალიონი 90

1939

ახალი მშენებლობანი

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ადგილობრივი მრეწველობა მახარაძეში დაიწყებს **ფაიფურის საცდელი ქარხნის** მშენებლობას, რომლის აშენება დაჯდება 100.000 მანეთი.

ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს. იგი იქნება საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა, რომელიც დაამზადებს პლიტკებს ლიქიორისათვის, ბლუდებს, თევშებს და სხვ.

ფაბრიკის გაფართოება მოხდება 1940 წელს და შეიქმნება ფაიფურის წარმოების დიდი კომბინატი.

აგებულ იქნება აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ფაბრიკები: **კრამიტის ფაბრიკა** სოფ. ჭანიეთში, რომლის მშენებლობა 200 000 მანეთი დაჯდება, ყოველწლიურად გამოუშვებს 460.000 –500.-000 ცალამდე კრამიტს. მშენებლობა დამთავრდება წელს სექტემბერში.

უკვე დაწყებულია **ავეჯის ფაბრიკის** მშენებლობა, ფაბრიკა იქნება მექანიზირებული, მისი აშენება დაჯდება 250.000 მანეთი.

იგი გამოუშვებს ფართე მოხმარების საგნებს, მაგიდებს, სკამებს, შიფონერებს და სხვ.

№48,9 ივლისი, 1939 წ.

ფეხბურთი

მახარაძელების ბრწყინვალე გამარჯვება

12 ივლისის 6 საათია. ბათომის „დინამოს“ სტადიონზე მრავალმა მაყურებელმა ძოიყარა თავი. ამ დღეს საფეხბურთო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „ტემპი“ და მახარაძის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი მიმდინარეობდა საქართველოს პირველობაზე.

მატჩის დაწყებისთანავე უპირატესობა მახარაძელების მხარეზე იყო. მახარაძის თავდამსხმელთა ხუთეული კარლო თოხაძის მეთაურობით შეტევას მარცხენა ფრთიდან აწარმოებდა და ქმნიდა კრიტიკულ მომენტებს მოწინააღმდეგის კართან. შეტევას უშედეგოდ არ ჩაუვლია. პირველი ტაიმის დამთავრებას 20 წუთი უკლდა, როდესაც მახარაძელთა მარცხენა გარემარბმა მამია მექვაბიშვილმა მძლავრი შუტით გაგზავნა კუთხეში ბურთი და შეარხია ბათომის ბადე, პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 მახარაძელების სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბათუმის „ტემპმა“ განიზრახა მახარაძელების დამარცხება მოთამაშეთა დამტვრევით და აშკარა ხულიგნური თამაშით. ამას მოწმობდა მთელი 45-წუთიანი თამაშის მსვლელობა, მოწინააღმდეგეთათვის მუჯლუგუნების კვრა, თავდამსხმელთა საჯარიმო მოედანზე დამტვრევა და განუწყვეტელი ყვირილი.

მაგრამ ბათუმმა მაინც ვერ შეძლო ანგარიშის გაქვითვა, მახარაძელებმა კიდევ ორჯერ გაარღვია ბათუმის კარები, მაგრამ მსაჯის არაწესიერი განსჯის შედეგად იგი არ იქნა ჩათვლილი. თამაში დამთავრდა 1:0 მახარაძელების ბრწყინვალე გამარჯვებით.

თ. დ-ს თავხედობა

ჩვენი გაზეთის 27 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „პასუხი უნდა აგონ“, რომელიც ეხებოდა სილაურის ჩაის მიმღები პუნქტის გამგეს თ. დ-ს და კოლმეურნე დ. ა-ს. კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები, რომ თ. დ-მ გაცხოველებული თესვის პერიოდში ორი დღე უნებართვოდ კერძო სამუშაოზე უდიერად ხედნეს კოლმეურნეობის ხარები, დადასტურდა.

გაბოროტებული რა ამ მდგომარეობით -თ. დ. შეუდგა წერილის ავტორის გამორკვევას და უმართებოლოდ დევნა დაუწყო გ.ლ-ს. შურისძიების ნიადაგზე ლომაძის სახლში მოთავსებული ჩაის მიმღები პუნქტი, რომლის მოწყობაზეც კოლმეურნეობას შრომადღეები და თანხა აქვს დახარჯული, თავხედურად დაანგრია, მეორე ადგილას გადაიტანა და განაცხადა „პუნქტი მე მეკუთვნის და რასაც მინდა იმას ვიზამო.“

რედაქციას თ.დ-ს საქციელი დაუშვებლად მიაჩნია და მოითხოვს ამ საქმეში პროკურატურის ჩართვას.

№50, 21 ივლისი, 1939 წ.

სარეწაო კოოპერატივის საბავშვო მოედნის ბავშვები თამაშობის დროს

ფერმას არ ჰყავს ჯიშიანი ბულა

გურიანთის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურეები დიდი სიხარულით კითხულობენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.“

კოლმეურეები განსაკუთრებით იწონებენ დადგენილების იმ პუნქტს, სადაც ლაპარაკია, რომ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 ფერმა.

გურიანთაში მესაქონლეობის ფერმა 1933 წელს შეიქმნა, რომელშიაც 31 სული პირუტყვი იყო, ახლა 157 მსხვილფეხა საქონელს აერთიანებს, აგრეთვე კოლმეურნეობაში არის მეღორეობის ფერმაც, რომელშიაც 11 დედა-ღორია.

უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ფერმას ჯერ-ჯერობით არ ჰყავს ჯიშიანი ბუღა.

საჭიროა მიწგანმა მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ბუღის შეძენაში.

ვ. ზოიძე

პირუტყვს არ უვლიან

წვერმაღალას საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვს არ უვლიან. ერთი ცხენი მატარებელმა მოჰკლა, მეორე სასიკვდილოდ დასჭრა და მესამე კირის საზელ ორმოში ჩავარდა და დაიღუპა.

საკვირველია, რატომ ურიგდება ასეთ მდგომარეობას მეურნეობის დირექცია.

დ. ივანიძე

№51, 27 ივლისი, 1939 წ.

ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი თაობა კულტურულად ისვენებს

ვაკიჯვრის საბავშვო აგარაკში კულტურულად ისვენებს ლაითურის საბჭოთა მეურნეობის, ქალაქის, ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის, წვერმაღალას და აბრეშუმის ფაბრიკის საბავშვო ბაღების 250 ბავშვი.

ბავშვთა გაჯანსაღების მიზნით ბაღებზე გაპიროვნებულია აღმზრდელები, რომლებიც ატარებენ გამაჯანსაღებელ მუშაობას.

ბავშვების კომუნისტურად აღზრდის საუკეთესო მაგალითს იძლევა ქალაქის საბავშვო ბაღი (გამგე თ. თავაძე), ასევე კარგად მუშაობს წვერმაღალას საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი, რომელსაც მ. ხომერიკი ხელმძღვანელობს.

კიდევ რამდენიმე დღე და ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა გაჯანსაღებული ენერგიით დაბრუნდებიან ვაკიჯვრის საბავშო აგარაკიდან.

№54, 15 აგვისტო, 1939 წ.

შეფის დახმარება

მუსიკალური სკოლა 1936 წელს დაარსდა მახარაძეში. დღეს სკოლა შედგება 4 კლასისაგან 120 მოსწავლით.

მახარაძის მუსსკოლის შეფია თბილისის კონსერვატორიასთან არსებული 1-ლი მუსიკალური სასწავლებელი (ხელმღვანელი პროფ. ელენე ქიქოძე).

შეფი დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს სკოლას. წელს ორჯერ მოავლინა ინსტრუქტორები საჩუქრებით, ნოტებით და სხვა სახელ-მძღვანელო მუსიკალური ლიტერატურით. ამჟამად საჩუქრად გადმოაგზავნა ერთი როიალი.

ი. თაყაიშვილი

ანასეულის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ლ. მარუაშვილი

ყოველთვიური ნაბეჭდი ჟურნალი

ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტი შეუდგა ყოველთვიური ჟურნალის გამოცემას რუსულ და ქართულ ენაზე. ჟურნალის პირველი ნომერი უკვე დაეგზავნა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ჩაის მწარმოებლებს. ჟურნალის პირველი ნომერი შეიცავს ინსტიტუტის მეც. მუშაკთა უბრალო და გასაგები ენით დაწერილ წერილებს: ჩაის ფოთლის წესიერი კრეფის, ციტრუსოვანთა ყვავილების დაცვენის მიზეზების, ფოთლის საკრეფი კალათების გამოცდის, ლიმონის მოსავალზე სასუქის გავლენის შესახებ და სხვა საინტერესო სამეცნიერო-საწარმოო საკითხებს.

ჟურნალის ტირაჟი 2 000 ცალია ორივე ენაზე და უფასოდ ეგზავნება ხელის მომწერებს.

№55, 21 აგვისტო, 1939 წ.

ფიზკულტურის სტადიონზე

მახარაძის ჩაის ფაბრიკა შეუდგა წარმოებისათვის ფიზკულტურის სტადიონის მოწყობას.

სტადიონის მშენებლობისთვის საქ. ჩაისა და სუბტროპიკების მუშაკთა პროფკავშირის ც. კ-ის მიერ უკვე გადადებულია 174 ათასი მანეთი.

ჩაის ფაბრიკასთან ფიზკულურის სტადიონის მოწყობა უნდა დამთავრდეს 1940 წლის მარტისთვის.

ა. კოდიშაზე

ფეხბურთი 7:1

27 აგვისტოს მახარაძის ფიზკულტურის სტადიონზე ჩატარდა ამხანაგური შეჯიბრება გორის „ლოკომოტივსა“ და მახარაძის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა მახარაძელების ბრწყინვალე გამარჯვებით 7:1.

№56, 27 აგვისტო, 1939 წ.

ლიხაურში

19 სექტემბერს შესდგა ლიხაურის და ნიაბაურის კოლმეურნეთა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც 300-ზე მეტი კაცი ესწრებოდა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ.მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ამხ. გ. ვასაძე.

სიტყვით გამოსულმა კოლმეურნემ ვ. თოიძემ განაცხადა: ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ რა მთავრობის პოლიტიკას, ყველა მოცემულ გეგმებს გადაჭატბებით შევასრულებთ, ხოლო თუ საჭირო იქნება იარაღით ხელში დავიცავთ დიადი ოქტომბრის მონაპოვარს.

–წილად მხვდა ბედნიერება – ლაპარაკობს ახალგაზრდა დავით ცეცხლაძე, რათა დავიცვა დიადი საბჭოთა ქვეყანა. მხურველედ ვესალმები მთავრობის პოლიტიკას ჩვენი თვისტომეული ხალხების: დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის დახმარების შესახებ. პირობას ვდებ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ დიად ქვეყანას.

№60, 21 სექტემბერი, 1939 წ.

პატარა ფელეტონი

დარდიმანდული სიმღერა

ქალაქის მთელ რიგ სასადილოებში არ არის დაცული წესრიგი, ადგილი აქვს ლოთობას, ჩხუბს და აყალმაყალს.

მსურს წავიდე
სადილისთვის
სასადილო „ლეწეში.“
უფულობა ხელს არ
მიშლის,
ნდობა კი მაქვს ბიჭებში.
დავთვრები და ფულს
მომთხოვენ?
ხელს შევავლებ ბიჭებში,
დანახარჯი გამესწოროს
არ მომსწრის ჩემს დღეში.
დაილოცა სასადილოს
ბედოვლათი „ზავები,“
მათაც უნდათ სულით,
გულით
მე თუ ჩხუბში ჩავები...
კარგად ახსოვთ თუ
რამდენჯერ
გატეხილა თავები,
„ზამი“ მოწმედ ყოფილა
და გამგე –მოწინავენი.
მომაშველეთ შავი ღვინო,
მწვადები, მოხრაკულები,
ჰარი, ჰარალე, თარალე,
ოდელია რანუნი!

ბიშტექსი

სასამართლო

შვილის მკვლელი

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის კომბინატში მომშობიარდა ლიდა ფეოდორის ასული პარანინა, რომელსაც შეეძინა სრულიად ჯანსაღი ვაჟი. კომბინატიდან გაწერის შემდეგ მან განიზრახა თავისი შვილის მოკვლა, რადგან ბავშვი არ იყო კანონიერი ქმრის შვილი. ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანა, ბავშვი დაახრჩო მდინარე ჟუჟში.

პირველი უბნის სახალხო სასამართლომ 2 სექტემბერს ამხ. დოლიძის თავმჯდომარეობით განიხილა ლიდა პარანინას საქმე და მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ მხარეში გადასახლებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის ჩამორთმევა.

მ. გადახბაძე

№62, 3 ოქტომბერი, 1939 წ.

ხიდების შეკეთება

დამთავრდა ხიდების შეკეთება შემოქმედის, ჯორჯიაშვილისა და სტალინის ქუჩებზე.

სულ სამი ხიდის მშენებლობისათვის დაიხარჯა 13.000 მანეთი

№64, 15 ოქტომბერი, 1939 წ

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი და ბრძოლა ბათუმისთვის



ქობულეთელების ამ დაბნეულობით ისარგებლა ოსმან-ფაშა თავდგირიძემ, შეკრიბა რამდენიმე ასეული ქობულეთელი (უმეტესად სოფ. აჭყვისთავის მცხოვრებნი და ლაზები) რათა დაებრუნებინა ზენათის მაღლობები. 20-21 მაისს გაიმართა ბრძოლა თავდგირიძის და რუს-ქართველთა შენაერთებს შორის. პოლკოვნიკ გურჩინის, თავად ჭავჭავაძესა და კაპიტან ყორღანოვის რაზმეულებმა შემოუარა ზენითის მაღლობს და გაფანტეს ოსმან-ფაშა თავდგირიძის რაზმი, თუმცა ზენითის მაღლობის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

დაიწყო მზადება ციხისძირის ასაღებად.

ქობულეთის რაზმი გააძლიერეს ახლად შემომატებული პიატიგორსკის პოლკით, რომელთაც მეთაურობდა პოლკოვნილი მიხეილ ბორისის ძე ბუჭყიაშვილი. ციხისძირის იერიშის წინააღმდეგი წასულა თავადი გრიგოლ გურიელი, რადგან დარწმუნებული იყო ბრძოლის წაგებისა და ტყუილუბრალოდ ადამიანთა სისხლის დაღვრაში. მან 10 ივნისს დატოვა ქობულეთი და ოზურგეთში დაბრუნდა.

1877 წლის 10 ივნისს, დილით რუსების ყველა საარტილერიო ბატარეია სამების ქედზე განლაგდა, რათა პოლკოვნიკ ფილიმონოვის საერთო ხელმძღვანელობით იერიში მიეტანათ ციხისძირისათვის. 11 ივნისს რუსებმა ადვილად წააქციეს წინადღით ნახევრად მოხერხილი საუკუნოვანი ხეები, რათა უფრო კარგად დაენახათ ციხისძირის თურქთა პოზიციები. რუსების მიერ გახსნილ საარტილერიო ცეცხლს, სწრაფადვე უპასუხეს თურქებმა. გენერალ პოტოს სიტყვებით სამებასა და ციხისძირს შორის ამტყდარი ზარბაზნების ქუხილის ხმა ოზურგეთამდე აღწევდა. შეუპოვრად იბრძოდნენ გენერალი დანიბეგაშვილი და პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი. ეს შემზარავი საარტილერიო ორთაბრძოლა თითქმის სამ საათს გაგრძელდა, პოლკოვნიკმა ივანე ბორისის ძე ბუჩკიევმა (ბუჭყიაშვილმა) 35 წუთი დაადუმა თურქების ე.წ. „ყვითელი ბატარეია“, საბოლოოდ თურქების არტილერია გაძევებული იქნა ბრძოლის ველიდან, მაგრამ აუღებელი რჩებოდა კვირიკეს, დაგვისა და ციხისძირის გამაგრებული მაღლობები. არ იქნა გათვალისწინებული მტრის ჯარის მრავალრიცხოვნობა (არანაკლებ 30 000). 12 ივნისს იყო ყველაზე სისხლიანი დღე, ქვეით ჯარს ბრძანება მიეცა რათა აეღოთ თურქთა პოზიციები კვირიკეს მთაზე. დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკება, რომელიც ღამითაც გაგრძელდა. პირველ დღესვე რუს-ქართველთა ჯარიდან დაიღუპა 550 კაცი. 12 ივნისს გაირკვა, რომ რუსების ჯარს გამარჯვების ნაკლები შანსი ჰქონდა. 12 ივნისს ნაშუადღევს, 7 საათისთვის ომი შეწყდა. ეს ორდღიანი ბრძოლა გენერალ პოტოს ცნობით რუს-ქართველთა ჯარს დაუჯდა 29 ოფიცრისა და 885 ჯარისკაცის სიცოცხლე. 16-17 ივნისს ჯარი დაუბრუნდა მუხაესტატეს ძველ პოზიციას. გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო, რომელიც აქამდე ქობულეთის რაზმში იმყოფებოდა, ქუთაისში გადავიდა.

აღნიშნული ბრძოლის შემდეგ რუსეთის მდგომარეობა აღმოსავლეთის ომში მკვეთრად შეიცვალა, რუსების სასარგებლოდ. 1878 წლის 18 ნოემბერს რუსებმა ყარსი აიღეს. გენერალ გურკოს მეთაურობით გადალახეს ბალკანეთის მთები და ტუნქის დაბლობში გაანადგურეს რეუფ-ფაშას არმია. სულთანმა ჩერნიგორიიდან სასწრაფოდ გადმოისროლა სულეიმან-ფაშას 39 ათასიანი არმია, ბრძოლა გაჩაღდა სტარა-ზაგორასთან. გურკო იძულებული გახდა უკან დაეხია და შიპკის უღელტეხილზე გამაგრებულიყო, დაიწყო შიპკის უღელტეხილის დაცვა. აქ იბრძოდა ბალკანეთის მესამე დრუჟინის მეთაური მაიორი კონსტანტინე ბორისის ძე ჭილაშვილი. არტილერიის მე-3 ბრიგადის კაპიტანი თავადი ივანე ონისიმეს ძე ვაჩნაძე, ფლიგელი ადიუტანტი გენერალ-მაიორი ნ. მიგჩელსკი (დადიანი). 24 აპრილს ბალკანეთის არმია რუმინეთის გავლით დუნაისკენ დაიძრა. იგი 357 ათას მებრძოლს ითვლიდა. დუნაის გადალახვის დროს დაიღუპა კაპიტანი ანდრო იოსების ძე კობანაშვილი, პორუჩიკი გრიგოლაშვილი და სხვა. გენერალი მ. ლაშქარაშვილი მთელი დუნაის არმიის კავალერიის უფროსი იყო. თურქებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს, მაგრამ შავიზღვისპირეთიდან არ გაჰყავდათ სამხედრო ძალები.ამ პერიოდში დაეცა ყარსი, თურქები იძულებულნი იყვნენ ბათომიდან ჯარის ნაწილი გადაესროლათ ყარსისკენ. მუხაესტატეში დაბანაკებული ქობულეთის რაზმის უფროსმა გენერალ-მაიორმა დანიბეგოვმა როგორც კი ეს გაიგო, 15 ნოემბერს დაიკავა ხუცუბანი. ამ პერიოდში თურქეთის მხარეზე მყოფი ალი-ფაშა და ოსმან-ფაშა თავდგირიძეების სამიათასიანი რაზმი დიდ ზიანს აყენებდა რუს-ქართველთა ლაშქარს. დადგა 1877 წლის დეკემბერი, მხარეებს შორის არაფერი შეცვლილა. 1877 წლის ნოემბერში რუსებმა პლევნა აიღეს, ბალკანეთის მთები გადალახეს და 1878 წლის იანვარს ანდრიაპოლი აიღეს.

1878 წლის იანვარში კავკასიის არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა მიიღო გადაწყვეტილება კვლავ განახლებულიყო შეტევა ბათუმის ასაღებად. ქობულეთის რაზმი გააძლიერეს არდაგანის რაზმით. ორივე რაზმის საერთო ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი კ. კომაროვი, რომელიც გ. წერეთლის ცნობით ქართულ რაზმებს ქართულად მიმართავდა, მას მეუღლე სომეხი ქალი ჰყოლია, სომხურიც ისე იცოდა, როგორც ქართული. გენერალი კომაროვი გრ. გურიელივით თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო ციხისძირის ციხის აღება, მაგრამ ბრძანებით 18 იანვარს შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. ჯარები სამ კოლონად დაიყო, მარცხენა იყო გენერალ შერემეტიევისა, შუათანა გენერალ დანიბეგოვისა (დანიბეგაშვილის), ხოლო მარჯვენა გენერალ შალიკოვისა (შალიკაშვილის).შეტევა დაიწყო ღამის სამ საათზე, რუს-ქართველთა ჯარი ცეცხლის წვიმების ქვეშ მოექცა. გენერალი კომაროვი დარწმუნდა იერიშის უპერსპექტივობაში და უკან დახევა ბრძანა. ბრძოლას შეეწირა ერთი გენერალი შერემეტიევი, 44 ოფიცერი და 1200 ჯარისკაცი.

წარმატებით მიმდინარეობდა ბრძოლები არტაანთან, ყარსთან, არზრუმთან. ამ ბრძოლებსა და ბალკანეთის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლებით რუსეთის ჯარები კონსტანტინოპოლს უახლოვდებოდა. ამ ბრძოლებში წარმატებებმა და ბერლინის კონგრესმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებაში. სულთანი აბდულ-ჰამიდი ყოველდღე ალექსანდრე მეორეს ნებისმიერ პირობებზე ზავის ხელმოწერას სთხოვდა.

ბალკანეთის ფრონტზე 10-21 ივლისამდე რუსეთის არმიამ გადალახა დუნაი, თურქები შეებრძოლენ რუსების მოწინავე რაზმს, შემდეგ კი ძალიან პასიურად იქცეოდნენ. 25 ივნისს აიღო ტირნოვო, შემდეგ გენერალ გურკოს მეთაურობით გადალახეს ბალკანეთის მთები და ტუნჯის დაბლობში გაანადგურეს რეუფ-ფაშას არმია. ამ ლაშქრობაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ბულგარეთში ყოფილ კონსულტანტს, მოხალისე იუნკერს ალექსი წერეთელს. სულთანმა ჩერნიგორიდან სასწრაფოდ გადმოისროლა სულეიმან-ფაშას 39 ათასიანი არმია. ბრძოლა გაჩაღდა სტარა-ზაგორასთან, გურკო იძულებული გახდა უკან დაეხია და შიპკის უღელტეხილზე გამაგრებულიყო. დაიწყო შიპკის უღელტეხილის დაცვა. აქ იბრძოდა ბალკანეთის მესამე დრუჟინის მეთაური მაიორი კონსტანტინე ჭილაშვილი, არტილერიის მე-3 ბრიგადის კაპიტანი თავადი ივანე ვაჩნაძე, გენერალ-მაიორი ნ. მიგრელსკი (დადიანი). შემდეგ რუსებმა დაიწყეს იერიში პლევნის ასაღებად, სადაც გამაგრებული იყო ოსმან-ფაშას ძლიერი კორპუსი. რუსთა ოთხი შეტევა წარუმატებლად დამთავრდა. 28 ნოემბერს ოსმან ფაშა გადავიდა შეტევაზე, მაგრამ დაკარგა 7000 ჯარისკაცი. პლევნაში დაბრუნების შემდეგ იარაღი დაფყარეს, დატყვევებული იქნა 44 000 თურქი ჯარისკაცი.

ოსმალეთის მთავრობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რუსთა 413 ათასიანი არმია მზად იყო კონსტანტინეპოლზე იერიშისთვის. რუსებმა 23 დეკემბერს სოფია დაიკავეს, 28 დეკემბერს შეინოვოსთანგ აანადგურეს თურქთა 30 000-იანი არმია, 5 იანვარს პლოვდივთან იარაღი დაყარა სულეიმან-ფაშას არმიამ.

რუსებმა 1878 წლის 20 აიანვარს ბრძოლების გარეშე აიღეს ანდრიაპოლი, კონსტანტინოპოლი ახლოს იყო, მაგრამ რუსეთის არმია შეჩერდა, რადგანაც ხმელთაშუა ზღვაში გამოჩნდა ინგლისის ფლოტი.

რუსებსა და თურქებს შორის მოლაპარაკება დაიწყო ჯერ კიდევ შეინოვოსთან გამარჯვების შემდეგ. რუსები მოითხოვდნენ მაქსიმალურ დათმობებს თურქებისგან. ისინი ითხოვდნენ სერბეთის, ჩერნიგორიის და რუმინეთის დამოუკიდებლობას, ბულგარეთის ავტონომიას, რუსეთისათვის ბესარაბიის, ყარსის, არდაგანის, ბათუმის და ბაიაზეთის გადაცემას, ნახევარმილიონიან კონტრიბუციას. მართალია ბრიტანეთის ესკადრა იდგა დარდანელის სრუტეში, ისინი თურქებს ურჩევდნენ დათანხმებულიყვნენ რუსების მოთხოვნას.

1878 წლის 19 იანვარს, ანდრიაპოლში რუსეთი და თურქეთი დროებით დაზავდნენ და ხელი მოაწერეს წინასწარ პირობებს, რომელმაც ავსტრიისა და განსაკუთრებით ინგლისის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის ელჩის, გრაფ იგნატიევის მოთხოვნით ინგლისის მხრიდან სამხედრო მუქარის გამო მოლაპარაკება სან სტეფანოში გაგრძელდა. 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს), იმპერატორ ალექსანდრე II ტახტზე ასვლის დღეს, სან სტეფანოში შეთანხმდნენ წინასწარი ზავის შესახებ, რომელიც 29 მუხლისაგან შესდგებოდა, რომლის თანახმად თურქეთმა აღიარა ჩერნიგორიის, სერბიის,რუმუნეთის დამოუკიდებლობა, შეიქმნა ბულგარეთის დამოუკიდებელი სამთავრო მთავრის არჩევის უფლებებით, თუმცა მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქების ხელში რჩებოდა, შემდეგ ჰერცოგოვინიამაც მიიღო ავტონომია, ოსმალთა იმპერიის ფარგლებში. ხელშეკრულებით ბრწყინვალე პორტას დაეკისრა სამხედრო კონტრიბუცია რუსეთის სასარგებლოდ 1410 მილიონი მანეთის ოდენობით,მათ შორის კავკასიის ომით მიყენებული ზარალი 100 მილიონი მანეთით იყო განსაზღვრული.მაგრამ რადგანაც თურქეთს ამხელა კონტრიბუციის გადახდა არ შეეძლო, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თურქეთი რუსეთს გადაუხდიდა 310 მილიონ მანეთს, ხოლო დანარჩენი 1100 მილიონი მანეთის სანაცვლოდ თურქეთი რუსეთს დაუთმობდა ტერიტორიებს როგორც ევროპაში, ასევე მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში. ამ ტერიტორიებს შორის იყო არდაგანი (არტაანი), ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე. თუ თურქები ფულს არ გადაიხდიდა, საზღვარი უფრო სამრეთით გადაიწეოდა. რუსეთის იმპერატორს განუცხადებია-მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მისთვის გასწიროს რამდენიმე მილიონიო.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების დადების დღისათვის ციხისძირსა და ბათუმში ოსმალეთის გარნიზონი იდგა.

სან-სტეფანოს ხელშეკრულების რატიფიკაცია გაატარა ჯერ სულთანმა აბდულ-ჰამიდ II-მ კონტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრე II სანკტ-პეტერბურგში, 1878 წლის 4 მარტს.

ავსტრია და ინგლისი მეტად უკმაყოფილო დარჩა სან-სტეფანოს მოლაპარაკების შედეგებით, რადგანაც იგი რუსეთის გაძლიერებას უწყობდა ხელს. გაჩნდა ახალი ომის დაწყების საფუძველი, ამიტომ 1878 წლის 18 (30) მაისს ლონდონში დადებული მემორანდუმით გრაფმა შუვალოვმა და ლორდმა სოლსბერის ბერლინის კონგრესის მოწვევის წინ, მიაღწიეს შეთანხმებას სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის გადახედვის შესახებ. ინგლისი დაეთანხმა რუსეთისათვის ბათუმის გადაცემას, რომელმაც ბისმარკისა და ვილჰელმ I-ის გაკვირვება გამოიწვია. ლონდონის შეთანხმები მეთერთმეტე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ინგლისი თანახმა იყო რუსეთს მიეღო ბათუმი და შეენარჩუნებინა სომხეთის დაპყრობილი ტერიტორია, მაგრამ შემდგომში ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე აზიაში რუსეთის ტერიტორია არ უნდა გაზრდილიყო.

ლევან ძნელაძე
მანანა ლომაძე

„ჩაი გამოზრდილი ევროპაში“ ანასეულს სტუმრობდა

როგორც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი თემურ რევიშვილი თავის ფეისბუკ-გვერდზე წერს, ამ დღეებში საერთაშორისო ასოციაციის „ჩაი გამოზრდილი ევროპაში“ წევრები ანასეულს სტუმრობდნენ.

„ქართული ტურის ფარგლებში სტუმრები გაეცნენ ჩვენი ჩაის და ინსტიტუტის ისტორიას, დააგემოვნეს საუკეთესო ხარისხის ანასეულის მწვანე ჩაი, ვისაუბრეთ შესაძლო ერთობლივი აქტივობებზე.

სტუმრები წარმოგვიდგინა უკვე ძველმა მეგობარმა და კოლეგამ, ასოციაციის ექსპრეზიდენტმა პროფესორმა დენის მაზეროლემ (r. Denis Mazerolle) და

მოქმედმა პრეზიდენტმა ქალბატონმა მონიკა გრისბაუმმა (Ms. Monica Grisbaum)

ევროპაში გაშენებული ჩაის ასოციაცია ამჟამად წევრებს აერთიანებს აზორის კუნძულებზე, საფრანგეთში, საქართველოში, გერმანიაში, იტალიაში, პორტუგალიაში, შოტლანდიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, უკრაინასა და გაერთიანებულ სამეფოში.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ქვეყანას და ევროპელ მეგობრებს!“ - წერს თემურ რევიშვილი.

ეს საინტერესოა

ამ წერილში ერთ საინტერესო ფაქტს მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ვლადიმერ ბოკუჩავას ინტელექტ-არქივიდან: ცნობილი რუსი ფიზიკოსი კაპიცა რამდენიმე ხნით მიწვეული იყო ინგლისის სამეცნიერო საზოგადოებაში ფიზიკოსთა მსოფლიო ფორუმზე. მივლინების დამთავრების შემდეგ კაპიცამ გადმოცურა რა გემით ლამანშის სრუტე-გადმოვიდა გერმანიის ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქში, სადაც ღამე უნდა გაეთია და შემდგომ მატარებლით გზა მოსკოვისკენ გაეგრძელებინა. კაპიცას გასაკვირად გერმანიის ამ ქალაქში ღამით ელექტროენერგია გამორთული იყო, როდესაც იკითხა მიზეზი, ადგილობრივმა გიდებმა მოახსენეს „უკვე მესამე დღეა ქალაქი ჩაბნელებულია ცენტრალური დიზელ-გენერატორი გაჩერდა და ვერ მოხერხდა მისი ამუშავება, ქალაქის ხელმძღვანელობამ პრემიის სახით 1000 ფრანკიც კი გამოყო ვინც ამ გენერატორს აამუშავებს“.

კაპიცამ მოისმინა რა ყოველივე განაცხადა: -თუ შეიძლება მაჩვენეთ ეს გენერატორი იქნებ რამე გამომივიდესო. მაშინვე მოახსენეს ხელმძღვანელობას და ცნობილი რუსი მეცნიერი გენერატორის დიდ სათავსოში აღმოჩნდა.

კაპიცამ დეტალურად დაათვალიერა რა თუჯისა და რკინის მრგვალ კარკასში ჩასმული გენერატორი, თქვა: „მომიყვანეთ კუნთმაგარი გერმანელი მუშა რკინის ულოთი ხელში“. ირგვლივ მყოფნი გაკვირვებით უმზერდნენ რუს მეცნიერს.



კაპიცამ მიიყვანა კუნთმაგარი გერმანელი გენერატორის კორპუსთან, წინასწარ გაზრებულ მონიშნულ წერტილში ხელი დაუდო- და უთხრა: მთელი ძალით ამ კუთხეში ურო დაარტყი. გერმანელმა ურო მაღლა ამართა, მთელი ძალით გენერატორს მითითებულ წერტილში დაარტყა. ყველა გაკვირვებით უყურებდა რა მოხდებოდა და საოცრება - გაისმა გენერატორის ნელი ხმაური, შემდეგ ხმაურმა იმატა და ბნელ სარდაფში საკონტროლო ნათურამ გაანათა - გენერატორი ამუშავდა, ქალაქი განათდა.

ყველა გაოცებით უყურებდა რუს მეცნიერს. როდესაც ყველაფერი დამთავრდა კაპიცამ დაწესებული ჰონორარი მოითხოვა. რა თქმა უნდა მაშინვე „1000 მარკა გადაუხადეს. კაპიცამ უროს დამრტყმელ გერმანელს მხოლოდ 100 მარკა მიაწოდა. „რატომ ასე ცოტა, მან ხომ ურო დაარტყა და გენერატორი ამუშავდაო.“.კაპიცამ უპასუხა „მთავარი ის კი არ იყო, ურო ვინ დაარტყა, მთავარი იყო, რომელ წერტილში უნდა დაერტყა და ეს წერტილი ამ ტვინმა მოიძიაო“ თავზე ხელი მიიდო.

ზაურ გაბრიჩიძე

სმ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სკანვორდი



პასუხები:

ანიკიბი: ხოტაოგბ ბილბეთიანეული; ქბყბრა شششششش

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში 1918 წლის 14-25 მაისი

გაგრძელება. დასაწყისი „ალიონი“ №20-28



საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. **საქართველოს გერმანია სჭირდებოდა ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ - დამოუკიდებლობის გარანტად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად.** საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და ოსმალეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილდებოდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნით.

აკაკი ჩხენკელის დაჟინებულმა მტკიცებამ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელია, ხოლო საქართველოს ხსნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაშია, ეროვნულ-დემოკრატების პოზიციები მნიშვნელოვნად გაძლიერა. სოციალ-დემოკრატებს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაწიათ აკაკი ჩხენკელის მოსაზრებებისათვის. ასეთ ვითარებაში 1918 წლის 16 მაისს საღამოს შვიდ საათზე შეკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობერი, კონსტანტინე მესხი;** მოწვეულები - **ასონ ლორთქიფანიძე** და **შალვა მესხიშვილი.** თავმჯდომარეობდა **ნოე ჟორდანია,** მდივნობდა **დავით ნახუცრიშვილი.** აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხი ასე იყო ფორმულირებული: **„წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკ-იდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველსანირი ნიადაგი".**

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა: აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებს ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილსა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალოთ, დასახელონ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის სამი წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი, დავით (დათა) ვაჩნაძე** და **შალვა მესხიშვილი.** აღმასრულებელმა კომიტეტმა ახლად შექმნილ კომისიას დაავალა: 1. ზომების მიღება საქართველოში ლტოლვილთა, მათ შორის შეიარაღებულ ლტოლვილთა, შემოსვლის შესაჩერებლად; 2. ქართულ ჯართან და საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციასთან კონტაქტის დამყარება; 3. აცნობოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს თუ რა სირთულეებს ჰქმნის სომეხი ლტოლვილების შემოსვლა საქართველოში და გაარკვიოს რა ზომების მიღებას აპირებს სომხეთის ეროვნული საბჭო გართულების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მოსაგვარებელი იყო უამრავი საკითხი. 1918 წლის 17 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის სხდომას დაესწრნენ: **გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა,** ასევე მოწვეულები - **დავით ვაჩნაძე, შალვა მესხიშვილი,** გენერალი **ვასილ გაბაშვილი,** პოლკოვნიკი **ვასილ კარგარეთელი** და პოდპოლკოვნიკი **ალექსანდრე ზაქარიაძე**. პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი იყო საკითხი: **„მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ".** სამთა კომისიამ პრეზიდიუმის სხდომას გადასაწყვეტად წარუდგინა შემდეგი საკითხები: *1. ვის ჩაბარონ თბილისის დაცვა, 2. რომელი ორგანო უხელმძღვანელებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.* საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. ქალაქ თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები.

2. თბილისის კომენდატად და გარნიზონის უფროსად დანიშნოს გენერალი **ახმეტელი,** *მის თანაშემწედ - პოლკოვნიკი* **ნაქერალიძე.** *გენერალმა ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერალიძემ იმოქმედონ ქართული კორპუსის მეთაურის გენერალ* **ვასილ გაბაშვილის** *ხელმძღვანელობით.*

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე სამთა კომისია, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

ვიდრე თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ემზადებოდნენ, ოსმალეთის დიპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდრეპოლი. 18 მაისს ბათუმში ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. ოსმალეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ამერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ;

2. ოსმალეთმა კიდეც რომ სცნოს ამერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე;

3. ამერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ - ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე.

ოსმალეთის დელეგაციის მემორანდუმი მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ამერკავკასიის დელეგაციას. მოლაპარაკება აზრს კარგავდა. 1918 წლის 19 მაისს აკაკი ჩხენკელმა მიიღო გენერალ ოტტო ფონ ლოსოვის წერილი. ოტტო ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელს აცნობებდა თავის მზადყოფნას, ამერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკებაში შუამავლის როლი შეესრულებინა. ამავე დროს სთხოვდა აკაკი ჩხენკელს გაერკვია, თანახმა იყო თუ არა ამერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის შუამავლობაზე. აკაკი ჩხენკელმა ოტტო ფონ ლოსოვის წერილის მიღებისთანავე, 19 მაისს, საღამოს შეკრიბა ამერკავკასიის დელეგაცია და გარკვეული დებატების შემდეგ დაითანხმა იგი ეცნოთ გერმანიის შუამავლობა. ამერკავკასიის დელეგაციის დადებითი პასუხი 19 მაისსავე ეცნობა გენერალ ოტტო ფონ ლოსოვს. გერმანია ოსმალეთის მოკავშირე და ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერი მხარე იყო, ამიტომ გენერალ ფონ ლოსოვის შუამავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ამერკავკასიის დელეგაციისათვის.

1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამგზავნილ საიდუმლო წერილში შექმნილ სიტუაციას აკაკი ჩხენკელი ასე ახასიათებს: „მე უკანასკნელ წუთამდე არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამერკავკასიის სახელით. მართალია, ჩვენმა თათრებმა (აზერბაიჯანელებმა - ვგ.) თავიანთი სეპარატული ნაბიჯით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულიად არ იზიარებდა ოსმალეთის პოზიციას, ამიტომ რაიმე იმედიც საფუძვლიანი იყო. თურქებმა მართლაც ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა, ულტიმატუმის გაგზავნა, მაგრამ სამაგიეროდ მათ მიმართეს მეორე ხერხს: ანხორციელებენ ფაქტიურად თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას. ერევნის გუბერნიას წაესინ, განჯაში თავიანთი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აზერბაიჯანის მიკედლება ჰყვება. დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველი მხრიდან". იმავე წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამოქმედო გეგმასაც სთავაზობს: „დარჩა, მაშასადამე, განმარტოებული საქართველო, რომლისთვის დარჩენილია სამი შესაძლებლობა: *ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და, ამავე დროს, არსებობს ამერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს მიასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება. ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხების ტერიტორია ამერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია. შეუძლებელია, მაშასადამე, მათთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდეც რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა. გ) საქართველოს დამოუკიდებლობა, აი ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაში არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისაგან, მაგრამ სწორედ ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ უფლებრივი ნიადაგი მაინც არ დავკარგოთ".* აკაკი ჩხენკელი თავის მოსაზრებას გენერალ ფონ ლოსოვის ავტორიტეტითაც ამაგრებდა: "გენ. ფონ ლოსოვი იყო დღეს ჩემთან. მას გავაცანი ეს აზრები და კატეგორიულად განაცხადა, რომ დარჩენილია ერთადერთი გზა - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდეც გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამერკავკასია არ არსებობს (ოსმალეთის წინადადებამ მოსპო ის). არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და გთხოვთ ცნობას და მფარველობას". წერილის ბოლოს აკაკი ჩხენკელი დაბეჯითებით სთხოვდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ გამოაცხადონ საქართველოს დამოუკიდებლობა. წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: **„ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!**

ოსმალეთის დიპლომატია კარგად ხედავდა, რომ გერმანიის შუამავლობა ამერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკებაში მისი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ ერიდებოდა მოკავშირესთან, გერმანიასთან, ურთიერთობის გაფუჭვებას: მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა, სად და როდის დასჭირდებოდა ოსმალეთს გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერა.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნის. წერილი პირდაპირ დაუფარავი საყვედურით იწყება: „მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ არა, მაშინ მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა. სხვა გზა დახშულია. არც ეს გზა გვიხსნის ყოველი ხიფათისაგან, რადგან ჩვენ გვჩვევია დაგვიანება. ყოველ შემთხვევაში, მე კიდევ მწამს, რომ პასუხისმგებლობა ისტორიისა და ერის წინა თავისას იქმს". წერილში აკაკი ჩხენკელი დაწვრილებით აყალიბებს სამოქმედო გეგმას: "საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს. ყველა ეს ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდის უკვე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს, ტყვეებისგან შემდგარს, და მიეგებება მომხდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანი დროებითი ხასიათისა". აკაკი ჩხენკელი ოსმალეთის მხრიდან საომარი ოპერაციების გაგრძელებას არ გამორიცხავდა, ამიტომ აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „შიფრით გადავეცი გენერალ კვინიტაძეს თქვენდა გადმოსაცემად, თუ რა გმართებთ გააკეთოთ სამხედრო თადარიგის მხრით. ომი ამერკავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. თურქებს, ალბათ, გადაწყვეტილი აქვთ მთელი ამერკავკასია აიღონ. ჩვენ უეჭველად წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ, რამდენადაც ძალა შეგვწევს. დღეს მხოლოდ თბილისის საკითხია. საჭიროა ის არ ჩავუგდოთ მას ხელში". როგორც წინათ, ისე ამჯერადაც აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აღნიშნავდა: „ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია. ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნებიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს". საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ქართველ პოლიტიკოსებს აკაკი ჩხენკელი მოუწოდებდა: "ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია - ესაა ერთადერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუძლებელია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია, შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას".

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი
დამოუკიდებელი
სახელმწიფო, (1918) გვ. 150-155)

ხის ნაკეთობების გურული ოსტატი

ალიონი. წინა საუკუნეებში ხის ნაკეთობანი, საოჯახო ნივთები აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან ლითონის ჭურჭელი დიდი ფუფუნება იყო და იგი ძირითადად სპილენძით თუნგით და კარდალათ შემო-იფარ-გლებოდა. ფართოდ გამოიყენებოდა ქვის და ხის ნაკეთობები – ხის გობი, ხის ჯამები,ფილი, კეცი, ჩამური, კოპე, ორკოპე, კერია და ა.შ.

დღეს იშვიათად შეხვდები აჭარა-გურიის მთებში ცხენებს ხის გორდებით, რითაც ყველი, კარაქი, ხილი, მოცვი და სხვა გადაჰქონდათ კურორტ ბახმაროსა და გომისმთაზე დამსვენებლებისათვის მისაყიდად ან მთიდან ბარში.

ნაგომრიელ 78 წლის **როლანდ სიხარულიძეს** კურორტ ბახმაროში, ვაკიჯვრის ქუჩაზე შევხდით. იგი აქ ხის საოჯახო ნაკეთობებს ამზადებს და საკმაოდ იაფად ჰყიდის: ფილი (ქვიჯა), სკამი, ჩოგან-ლაფერა, ცომის გასაბრტყელებელი, ხის კოვზი, ხის ჯამები, ძალიან ბევრი საჭირო და აუცილებელი საოჯახო ნივთები.კურორტზე ბახმაროსათვის დამახასიათებელი საბავშვო ხის სათამაშოებიცაა წარმოდგენილი.

–საჭირო მასალას სად შოულობთ –ვეკითხებით როლანდს.

–ვაგიკვირდებათ. მდინარე სუფსა მამარაგებს საჭირო მასალით. იცით, როგორ ეპყრობიან დედა-ბუნებას და ბევრ ხეს უთხრის ძირს და მოაქვს ბარში მდინარეს. სხვებიც მეხმარებიან, ე.წ. „ნაკიდურებს“ (ნარჩენებს) მაძლევენ. აქ დამზადებული ნივთებიდან უმეტესობა წიფლის, თელის და წაბლის ხისგანაა დამზადებული.

პროფესიით მძღოლი ვარ. დიდხანს ვმუშაობდი სატვირთო ავტომანაქანაზე. 12 წელი ვიმუშავე სოფელ მთსპირში. მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკაზე ვეზიდებოდით ჩაის. უამრავი მეგობარი მყავდა იქ. ტიხო ნიკოლაიშვილს ვიცნობდი კარგად. კარგი მეურნე და ნიჭიერი კაცი იყო. ტიხო იმიტომ ვახსენე, ტრადიციებს იცავდა. კარგი ცხენოსანი იყო, საუცხოო ღვინოს აყენებდა და ზაფხულობით აჭარა-გურიის მთებს სტუმრობდა. კარგი მეცხოველეც იყო ზაფხულობით საქონელი მთაში ჰყავდა. ხის ნაკეთობები უყვარდა და ერთმანეთს ვუგებდით.

ოჯახურმა ტრაგედიამაც ვერ ამაღებინა ხელობაზე ხელი. არავინ მყავს, რომ ფონდებს დავუკავშირდე, დამაფინანსონ და საჭირო დაზგა-დანადგარები შევიძინო, ახალგაზრდებს შევასწავლო ამ ნაკეთეობათა ხელოვნება. ერთი დაზგა დიდი წვალებით შევიძინე. მიყვარს კარგი ნახელავი, დიდ საქმეს აკეთებ თუ პატარას, ყველას დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო...ამიტომაა, რომ ჩემს ნამუშევრებს აფასებენ და ასე თუ ისე იყიდება კიდეც –გვითხრა როლანდ სიხარულიძემ.

კოშმარული საღამო - როცა თითქმის არაფერი გამოდის

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა 9-წლიანი წარუმატებელი სერია გააგრძელა, "ჯვაროსნები" ისევ დამარცხდნენ შეხვედრაში, სადაც მათგან აუცილებელ გამარჯვებას (სათქმელია, რამდენად ობიექტურად) ველოდით.

მარცხიცაა და მარცხიც - ასეთი უხერხემლო და თითქოს, ნაკლები ჟინით მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები დიდი ხანია არ გვინახავს. ყველაფრის ლიდერების არყოფნასა თუ ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებზე დაბრალება პრობლემებისგან გაქცევა იქნება...

შემადგენლობა

როცა მთავარი მწვრთნელის ესა თუ ის გადაწყვეტილება არ გაამართლებს, შემდეგ მსჯელობა, რა თქმა უნდა, მარტივია. გასაგებია, დანაკლისი არაერთი იყო, განუზომელი საკადრო რესურსი ისედაც არ გვაქვს, მაგრამ შემადგენლობამ ვერ გაამართლა.

შესაბამისად, მის შერჩევაში შეცდომები იქნა დაშვებული.

სანიოლი, ერთი მხრივ, მართალი იყო, როდესაც სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის მქონე მოთამაშეებს არ დაეყრდნო - მაგალითად, ფლანგის მცველების შემთხვევაში, გურამ გიორბელიძისა და ოთარ კაკაბაძის ნაცვლად საქმე ირაკლი აზაროვსა და გრიგოლ ჩაბრაძეს ჩააბარა... სიმართლე უნდა ვთქვათ, განსაკუთრებით მარჯვნივ, არაერთი პრობლემა შეიქმნა და ბევრად მეტის გაკეთება იყო საჭირო როგორც დაცვით, ასევე შეტევით ასპექტში.

გასაკვირია ასევე ის ფაქტი, რომ დაცვის ფლანგელის ცვლილება მატჩის განმავლობაშიც არ მომხდარა. არადა, გურამ გიორბელიძე თითქოს აქტიურად ემზადებოდა...

რაც შეეხება პრაქტიკის არქონას - გიორგი აბურჯანია ამ ნაკრებისთვის საკმაოდ დიდი ძალაა, მაგრამ სეზონის დასაწყისში მიღებული დაზიანების შემდეგ ფორმაში შესვლას ეტაპობრივად ახერხებს, თუმცა ბათუმში მოედანზე 78 წუთი გაატარა...

ნახევარდაცვაში სწრაფი გადაწყვეტილებები და ფანტაზია გვაკლდა, რასაც ხელი ოთარ კიტეიშვილის ტრავმამაც შეუწყო...

როგორ უნდა გავიტანოთ?

ვლადიმირ ვაისის დროიდან მოყოლებული სულ ამაზე ვსაუბრობთ, რომ მეტოქის კართან შექმნილი მომენტები გუნდური მოქმედებების შედეგი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ინდივიდუალიზმით მუდმივად ფონს ვერ გავალთ.

აქამდე სანიოლისგან მცდელობებს, რომ ყველა შეტევა ორგანიზებული ყოფილიყო, ვხედავდით. მან ასევე მატჩამდე ხაზი იმასაც გაუსვა, რომ წარმატება კვარაცხელიას გარეშეც შესაძლებელი იყო, მაგრამ ის, რაც ბათუმში ვნახეთ, ამ ყველაფრისგან ძალიან შორს იდგა...

საქართველოს ნაკრებისგან ისევ გაუთავებელი ჩაწოდებები (უფრო მეტად მცდელობები) ვნახეთ, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. თავი რომ დავანებოთ იმას, ეს შეტევისთვის რამდენად კარგი ვარიანტია, ამ ტაქტიკის შესრულებას თავისი სტილისა და უნარების მქონე ფეხბურთელები სჭირდება...

ისევ გვიჭირდა როგორც მოწინააღმდეგის პრესინგიდან ამოსვლა, ასევე კოსოვოელთა კართან ახლოს მათი შეწუხება.

ცვლილებები

როცა "ჯვაროსნების" ამ მდგომარეობას ცოტათი უკანა პერიოდთან ვადარებდით, აღნიშნული იყო, რომ სანიოლი ცდილობს, ახალი მოთამაშეების შემოყვანით თამაშის სცენარი შეცვალოს და მისი ცვლილება მხოლოდ ცვლილებისთვის არ კეთდება. რაც კოსოვოს წინააღმდეგ მოხდა, ამის საპირისპიროს ამტკიცებს.

საკადრო დეფიციტს ხაზი კიდევ ერთხელ უნდა გაესვას, მაგრამ ფაქტია, ახალმა მოთამაშეებმა არსობრივად ვერაფერი შეც-ვალეს. სანიოლმა თითქოს ყველა მის ხელთ არსებული შეტევითი არსენალის ფეხბურთელი შემოიყვანა, თუმცა თამაშის ხასიათი იგივე დარჩა. გიორგი ჩაკვეტაძეს ჯერჯერობით ბევრი დრო არ ეძლევა...

ფორვარდი

ეს საკითხი ისევ მწვავე და აქტუალურია. მთავარი მწვრთნელი თითქოს მიქაუტაძეზე დაყრდნობაზე ჩამოყალიბდა, თუმცა ახლა მას სათამაშო პრაქტიკა აკლია.

გიორგი ქვილითაია თამაშის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო, მას საკმაოდ ტვირთავდნენ, თუმცა ხიფათის შექმნა თავადაც უჭირდა და ღირებულს ვერც მისი ორთაბრძოლებში შესვლის შემდეგ ვაღწევდით.

საქართველოს ნაკრებმა კარში სულ ორჯერ დაარტყა და აქედან ერთი მიქაუტაძეს ეკუთვნოდა - პოზიცია ცუდი და საკმაოდ შორი იყო, თუმცა "სერენის" ფორვარდს ამას ვერ დავუკარგავთ - ბურთის მიღებისთანავე კარს უყურებს და მასთან მუდამ ზურგით არ იმყოფება.

ერთ წრეზე...

როგორი ოპტიმისტებიც უნდა ავიყოთ, ფაქტია - ისევ გვიჭირს იმ მატჩებში ინიციატივის აღება, სადაც მოგება დაგეგმილი გვაქვს და თითქოს, ეს არც ჩვენს ძალებს აღემატება.

ესპანეთთან საშინაო მატჩში ჩვენმა ნაკრებმა არაფერი დააკლო, მუხტი და ენერგია იგრძნობოდა, კოსოვოსთან მარცხმა კი, თამაშის სცენარიდან და არა მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ მაკედონაისთან წაგებული ფინალი გაგვახსენა - მეტოქემ ფაქტობრივად არაფერი შეგვაქმნევინა, თვითონ კი თავისი თამაში სწორად ააგო, რამაც გამარჯვებამდე მიიყვანა.

სანიოლი

ფრანგი სპეციალისტი თამამი გადაწყვეტილებების გამო ბევრჯერ შეგვიქია, თუმცა კოსოვოსთან მატჩი ჩააგდო და მეტოქის მთავარ მწვრთნელთან ტაქტიკურ დუელში დამარცხდა.

კოსოვოს ნაკრები სხვა მატჩებში ასეთი კონტრშეტევებზე მოფიქრალი გუნდი, როგორც ეს ბათუმში გამოჩნდა, ნამდვილად არაა, თუმცა ბერნარ შალანდემ ზუსტად წარმოიდგინა ის სცენარი, რაც შესაძლოა, ხვიჩა კვარაცხელიას გარეშე დარჩენილი საქართველოს ნაკრებისგან ეხილა.

ცოტათი უცნაური იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მეორე ტაიმი ცვლილების გარეშე დაიწყო - როგორც ფლანგები, ასევე მოედნის შუა ნაწილი განსკუთრებულ გაძლიერებას ითხოვდა. ვილიმ ამ ეტაპზე ვერ გარისკა - თუნდაც სანდრო ალთუნაშვილის შემოყვანით მწვრთნელს შეეძლო, რომ ნახევარდაცვაში მეტი სიახლე, ენერგია და მოულოდნელობა შეეტანა.

ამინდის ფაქტორიც გასაგებია, მაგრამ საქართველოს ნაკრების შეტევებს ორგანიზებულობა აკლდა.

სანიოლს არც ყველაფრის ფეხბურთელებზე დაბრალება უცდია და საკუთარი თავიც განზე არ დაუყენებია. მას ერთ რამეში უნდა გავუგოთ - მოთამაშეებთან ურთიერთობისთვის ძალიან ცოტა დრო აქვს და ყველა სირთულეს ასე მარტივად ვერ გადაჭრის...

წიტაიშვილი

გიორგი წიტაიშვილი ამ სტატიისა და მატჩის ტკბილი ლუკმაა. ის ახლა ოპტიმალური ფორმისგან შორსაა და ნაკრებშიც დებიუტი ჰქონდა, ამის მიუხედავად, ჩვენს გუნდში აშკარად გამორჩეული იყო - კოსოვოელ მცველებს მისი გამკლავება წესების დარღვევის გარეშე უჭირდათ, თამაშის გამწვავებას კი მუდმივად ცდილობდა.

წიტაიშვილი არც ხვიჩა კვარაცხელიას და არც გიორგი ჩაკვეტაძის სტილის მოთამაშე არაა, თავისი უპირატესობები აქვს, მათთან ერთად კი ბევრად პროდუქტიული უნდა იყოს.

უბურთოთ მოძრაობა, სივრცის აღქმა, გახსნა - ეს კომპონენტები წიტაიშვილს აშკარად გამჯდარი აქვს და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.

როგორც გუნდს, ასევე მთავარ მწვრთნელს, დიდი გაკვეთილი უნდა მიეღოთ, რომლის გარკვეული შედეგებიც უკვე რამდენიმე დღეში უნდა დავინახოთ...

სულთათანა

დეიდა ელიკო თავდუმაძე, დეიდაშვილები ნინო, ნატო, თამუნა ლომთათიძეები, სიძეები მერაბი იმნაძე, კახა ჩხაიძე ოჯახებით იუწყებიან **ლევან ისაკაძის** გარდაცვალებას.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +15+19	წვიმა +15+20	მზე, ღრუბელი +16+20	მზე, ღრუბელი +15+20	წვიმა +14+17	წვიმა +14+18	წვიმა +13+21ა
6 სექტემბერი ორშაბათი	7 სექტემბერი სამშაბათი	8 სექტემბერი ოთხშაბათი	9 სექტემბერი ხუთშაბათი	10 სექტემბერი პარასკევი	11 სექტემბერი შაბათი	12 სექტემბერი კვირა